ოქმი:**ო02.37220891**
თარიღი:**30/03/2022**

ოქმი № 8

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 მარტი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, ნ. მახარაძე, ბ. კილაძე, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, თ. ნიკოლაიშვილი, გ. შილაკაძე, ნ. ქარჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

3. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესხებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარე, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს ესაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“, კომისიამ მხარი დაუჭირა მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა- დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს გააცნო კომისიაში შემოსული წერილი, რომელშიც მოქალაქე ზურაბიანი ითხოვდა ქ. ოზურგეთში „ვისოლის“ ბენზინგასამართი სადგურის მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკის მოწყობას. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წერილის რეაგირების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიისთვის (ა. თალაკვაძე) გადაგზავნა.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (ა. თალაკვაძე).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე